საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/72655
13/07/2015

72655-07-02-2-201507131134

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

გიგზავნით დეპონირებისა და ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად 2015 წლის 10 ივლისს ხელმოწერილ „ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით" შეთანხმების ორიგინალს ინგლისურ ენაზე და მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანს.

შეთანხმება საქართველოს მხრიდან ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრიდან საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის მიერ.

დანართი:
1. ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით" შეთანხმების ორიგინალს ინგლისურ ენაზე და მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანს;
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის №1002 განკარგულება (1 გვერდი);
3. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 18 მაისის №208 ბრძანება (1 გვერდი);
4. შესაბამისი უწყებების წერილების ასლები;
5. შეთანხმების ფურცელი;
6. განმარტებითი ბარათი.

პატივისცემით,

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16. ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010191689817315

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№689

02 / თებერვალი / 2015 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს,
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2015 წლის 26 იანვრის №07-02/5576 წერილით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ და გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარების შემთხვევაში, საჭირო იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება; კერძოდ, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში და, ასევე, ყველა იმ საკანონმდებლო აქტში, რომლებიც არეგულირებს იმ ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას, ვინც ამ შეთანხმების მიზნებისათვის განხილული იქნება როგორც „ანგარიშის წარმდგენი საქართველოს ფინანსური დაწესებულება“, საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა, რომელთა თანახმად, ასეთ ფინანსურ ინსტიტუტებს ექნებათ ვალდებულება, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია, მათ შორის, საბანკო საიდუმლოება, მიაწოდონ საქართველოს შემოსავლების სამსახურს, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში;
2. საქართველოს შემოსავლების სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში საჭირო იქნება შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელთა თანახმად, შემოსავლების სამსახურს ექნება უფლება, მოითხოვოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია „საქართველოს ფინანსური დაწესებულებებიდან“;
3. წარმოდგენილი შეთანხმების პროექტისა და მისი დანართი I-ის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით მიზანშეწონილია, ცვლილებები განხორციელდეს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ შესაბამის მუხლში და, ასევე, ყველა იმ საკანონმდებლო აქტში, რომლებიც არეგულირებს იმ ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას, ვინც ამ შეთანხმების მიზნებისათვის განხილული იქნება როგორც „ანგარიშის წარმდგენი საქართველოს ფინანსური დაწესებულება“, რომლის თანახმად, ასეთ ფინანსურ დაწესებულებებს შეეძლებათ, უარი უთხრან პირს ანგარიშის გახსნაზე ან დახურონ ანგარიში, თუ მისი ანგარიში კვალიფიცირდება როგორც „ფინანსური ანგარიში“ წინამდებარე შეთანხმებისა და „FATCA“-ს მიზნებისათვის;

4. შეთანხმების პროექტის ინგლისურენოვანი ტექსტის პირველი მუხლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის (d) ქვეპუნქტში ფრაზა „inland waters“ მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით – „internal waters”, როგორც ეს განსაზღვრულია „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაერო-ს 1981 წლის კონვენციაში;
5. შეთანხმების პროექტის ქართულენოვანი ტექსტი საჭიროებს გამართვას მთარგმნელობითი თვალსაზრისით და შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურენოვან ტექსტთან.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ექვემდებარება რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტის მიერ.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010186901120315

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა, ☎: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№3163

23 / აპრილი / 2015 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს,
ბატონ დავით ლეჟავას

ბატონო დავით,

თქვენი 2015 წლის 22 აპრილის №07-02/40224 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია, „საქართველოს" განმარტებაში დარჩეს ტერმინი "inland waters", რომელიც საქართველოს მიერ განმარტებული იქნება საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე

საქართველო

3465-01-2-201502021715

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/3465
02/02/2015

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2015 წლის 26 იანვრის N07-02/5556 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების შესახებ" შეთანხმებას, გიგზავნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველო

3253-01-2-201501301906

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/3253
30/01/2015

დასკვნა „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების შესახებ“ შეთანხმების თაობაზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების შესახებ“ შეთანხმება და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-14/345-15
02. 02. 2015

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს

ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი ამა წლის 26 იანვრის N07-02/5525 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს არ გააჩნია შენიშვნები და კომენტარები თქვენს წერილში წარმოდგენილ „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების ხელშეკრულების“ პროექტთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

არჩილ მესტვირიშვილი

ვიცე-პრეზიდენტი

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის
სამსახური

0105, თბილისი,
სანაპიროს ქ. N2
ტელ./ფაქსი: 229 67 00
ელ. ფოსტა: info@fms.gov.ge
კოდი: 204447330

Financial Monitoring Service
of Georgia

Sanapiro Str. 2
Tbilisi 0105
Tel./Fax: 229 67 00
E-mail: info@fms.gov.ge
Code: 204447330

62-01-2-201501291133

N 01/62 29/01/2015

ქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი, მიმდინარე წლის 26 [illegible] 5473, წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორი[illegible]ს არ გააჩნია წინადადებები ან შენიშვნები „საქართველოს მთავრობასა და [illegible]თებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდ[illegible]ესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობ[illegible]CA) შესრულების მიზნით ხელშეკრულების“ პროექტზე.

პატივისცემით,

მიხეილ როინიშვილი
სამსახურის უფროსი
სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტო[illegible]

საქართველოს ფინანსთა საჯინისტრო
№ 14663/01
30 - 01 2015 წ.
ფურცლის რაოდენობა

KA020149024949215

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

№ 09/1971

17 / მარტი / **2015** წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (N07-02/5541, 26.01.2015წ.) წარმოდგენილი, „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით ხელშეკრულების" პროექტი და გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტის მიმართ, კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ირმა ქავთარაძე

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/41663
27/04/2015

41663-07-02-2-201504271126

დასკვნა

"საქართველოს მთავრობას და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით შეთანხმების" პროექტზე

"საქართველოს მთავრობას და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით შეთანხმების" პროექტთან დაკავშირებით საქართველოს ფინანთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

აღნიშნული დოკუმენტის გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით მოსალოდნელია, რომ დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

OFFICE OF THE PERSONAL DATA PROTECTION INSPECTOR

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

N 47/01
09/02/2015

47-01-2-201502091959

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს

ბ-ნ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა თქვენ მიერ წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების ხელშეკრულების" პროექტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ჭრილში და გაცნობებთ ჩვენს მოსაზრებებს:

1. შესაძლოა პრობლემა წარმოიქმნას ხელშეკრულების პროექტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული მონაცემების მოპოვებისა და გადაცემის ნაწილში 2014 წელთან მიმართებით, ვინაიდან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ფინანსურ დაწესებულებებს, მათ შორის კომერციულ ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს, არ აძლევს „FATCA-ს" მოთხოვნების შესაბამისად, მონაცემების მოპოვების, შენახვის და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაცემის შესაძლებლობას. ხელშეკრულება, რომელიც შექმნიდა ამ ინფორმაციის ლეგიტიმური მიზნით შეგროვებისა და გადაცემის საფუძველს საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 2014 წელს არ ყოფილა დადებული.

2. ხელშეკრულების და მისი დანართის პროექტიდან არ იკვეთება ფინანსური დაწესებულებების მიერ შეერთებული შტატების ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშების და მასთან დაკავშირებული ფიზიკური პირების იდენტიფიკაციის წესი. აღნიშნული საკითხის მკაფიო რეგულირების მიღმა დატოვება წარმოშობს მნიშვნელოვან საფრთხეს, კერძოდ საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისას ფინანსურმა დაწესებულებებმა შესაძლოა დაარღვიონ მონაცემთა დამუშავების ადეკვატურობისა და პროპორციულობის პრინციპი. აქედან გამომდინარე,

აფაქიძის ქ. №15, 0171, თბილისი, საქართველო,
ტელ: (+995 32) 2421000
ელ–ფოსტა: office@pdp.ge

15, Apakidze Str. 0171 Tbilisi, 0105, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdp.ge

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მკაფიოდ და ამომწურავად ფიზიკური პირების იდენტიფიკაციის წესისა და დასამუშავებელი მონაცემების კატეგორიის განსაზღვრა.

პატივისცემით,

ნიკოლოზ ბრეგვაძე

ინსპექტორის მოადგილე

სსიპ
საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო
ზედამხედველობის
სამსახური

LEPL
INSURANCE STATE
SUPERVISION
SERVICE of GEORGIA

საქართველო, თბილისი 0162; თენგიზ აბულაძის 34 ; საიდენტიფიკაციო ნომერი: 205 305 025
34 Tengiz abuladze str., 0162; Thilisi, Georgia, Identification number: 205 305 025
E-mail: info@insurance.gov.ge

N81

4 თებერვალი 2015 წ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენს მ/წ 26 იანვრის წერილთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის შესრულების მიზნით ხელშეკრულების" პროექტს, სამსახურს სადაზღვევო კუთხით შენიშვნები არ გააჩნია.

აქვე, ვფიქრობთ, მოცემული საკითხის სათანადოდ აღსრულების კუთხით, იგი უნდა იქნას განხილული და შეჯერებული სადაზღვევო კომპანიებთან, როგორც აღნიშნულის უშუალოდ განმახორციელებელ ორგანიზაციებთან.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი

იოსებ გოგოლაშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 1822/01
05 02 2015
ფინანსთა მინისტრის

04 09 2015